მარიამ აბაშიძე

მოგონებები წალვერზე

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი 2010

შეადგინა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო
ია გორგიშელმა

ISBN-978-9941-420-01-6

© ია გორგიშელი, 2010
© გამომცემლობა "ინტელექტი",2010

წინასიტყვაობა

ბროშურა მოგვითხრობს საქართველოს ერთ–ერთი ულამაზესი კურორტის – წაღვერის ისტორიას გასული საუკუნის 10–იანი წლებიდან 70–იან წლებამდე. გვაძლევს გარკვეულ მასალას ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა–ცხოვრებაზე, საინტერესო ცნობებს თეატრისა და ლიტერატურის მოღვაწეთა შესახებ, რომელთა უმრავლესობა: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, მარიჯანი, პაოლო იაშვილი და სხვები კურორტ წაღვერის ხშირი სტუმრები იყვნენ.

მარიამ ვარდენის ასული აბაშიძე (ქალიშვილობაში– კიკნაძე) დაიბადა 1904 წელს სოფელ წაღვერში. 1921 წელს დაამთავრა ქალთა მე–7 გიმნაზია, 1926 წელს კი სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი. წლების განმავლობაში მუშაობდა ბაქტერიოფაგის ინსტიტუტში, სამედიცინო ინსტიტუტში მიკრობიოლოგიის კათედრაზე. მეუღლე – ნიკოლოზ აპოლონის ძე აბაშიძე (1897–1965) იყო რესპუბლიკის დამსახურებელი ექიმი, პროფესორი, ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. შვილები – თეიმურაზ აბაშიძე (1931–1998), სპეციალობით არქიტექტორი და ლეილა აბაშიძე (1927–2009) ინგლისური ენის პედაგოგი, ბიბლიოთეკარი.

მარიამ აბაშიძე გარდაიცვალა 1978 წელს. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე საბავშვო მოთხრობა ჟურნალებში „დილა“, „დროშა“ და სხვ.

ბროშურას საფუძვლად დაედო მარიამ აბაშიძის ჩანაწერები, “მოგონებები წაღვერზე”, და „მართლაც, „იყო ერთი პოეტი“, რომლებიც 1966 წლითაა დათარიღებული. ასევე გამოყენებულია ფოტომასალა და წერილები საოჯახო არქივიდან.

ვფიქრობ, მარიამ აბაშიძის მოგონებები წაღვერზე საინტერესო იქნება როგორც საქართველოს ისტორიის მოყვარულთათვის, ეთნოგრაფებისთვის, ისე დაინტერესებული მკითხველთათვის.

ია გორგიშელი–აბაშიძისა



ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელის
გიორგი ხუჯაძის წერილი მარიამ აბაშიძისადმი. 1966წ.

მარიამ აბაშიძე მეუღლესთან, ნიკოლოზ აბაშიძესთან ერთად.

მოგონებები წაღვერზე

(ვუძღვნი ჩემს ქალიშვილს – ლეილა აბაშიძეს)

შვიდი წლისა ვიქნებოდი, როცა ბორჯომში წამიყვანეს სასწავლებლად. მაშინ, 1910 წელს, წაღვერში სკოლა ჯერ კიდევ არ იყო. ბორჯომში ერთადერთი ერთკლასიანი რუსული სკოლა იყო, რომელიც ოთხი განყოფილებისგან შედგებოდა და ვაჟთათვის ე.წ. „Ремесленное училище”- სახელოსნო სკოლა[1] იყო.

მე რუსული ენა სრულებით არ ვიცოდი და, რა საკვირველია, პირველ ხანებში ძალიან მიჭირდა. შემდეგში კი, სიმართლე უნდა ითქვას, ორი წლის განმავლობაში იქ შესწავლილმა რუსულმა ენამ დიდი სამსახური გამიწია. თბილისში რომ გადამიყვანეს, მე უკვე კარგად ვიყავი დაუფლებული როგორც ენას, ისე მართლწერას ჩემი რუსი ამხანაგებისა და რუსი პედაგოგების წყალობით. მაშინ ამ სკოლაში უმეტესობა ბავშვებისა და პედაგოგებიც რუსები იყვნენ, გარდა „ბლაღოჩინი“ გორგაძისა, რომელიც საღვთო სჯულს რუსულ ენაზე გვასწავლიდა, სკოლაში მშობლიური ქართული ენა სრულებით არ ისწავლებოდა.

ბორჯომში ვსწავლობდი ორ წელიწადს, პირველ და მეორე განყოფილებაში. გადავედი მესამე განყოფილებაში და წაღვერის დაბის სწავლული მეტყევის მიხეილ მურვანიშვილის რჩევით მამამ წამიყვანა თბილისში გამოცდების ჩასაბარებლად ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, რომელიც ახლანდელ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში იყო განთავსებული. მიხეილ მურვანიშვილის ხუთივე შვილი, როგორც ვაჟები, ისე ქალები, სწავლობდნენ ამ ქართულ გიმნაზიაში. ბინითაც მათთან ვცხოვრობდი რევოლუციამდე; რევოლუციის დროს კი მურვანიშვილმა თავისი ოჯახი გადმოიყვანა სურამში, ბავშვები კი – სასწავლებლად ხაშურში. მაშინ ხაშურში გიმნაზია ახალი დაარსებული იყო. მე კი მამამ დამტოვა თბილისში დედაჩემის ახლო ნათესავთან – ცნობილ გამომცემელ, ბუკინისტ სოსიკო მერკვილაძის ოჯახში. თბილისში დავამთავრე გიმნაზიაც და უნივერსიტეტიც.

როდესაც სასწავლებლად წამიყვანეს თბილისში, თუ არ ვცდები, იყო 1912 წლის სექტემბერი – მ. მურვანიშვილი სულ ერთი წლის გადმოყვანილი თუ იქნებოდა თორიდან წაღვერში სატყეოს გამგედ. უნდა ითქვას, რომ ის უაღრესად სწავლული ადამიანი, ნამდვილი ქართველი, დიდი მოღვაწე, ქველმოქმედი, გამრჯე და მხნე პიროვნება იყო, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო წაღვერს მის კეთილმოწყობაში და გლეხობას მისი ყოფაცხოვრების გაუმჯობესებაში. ამ დროს წაღვერი, როგორც და რამდენადაც შეიძლება დაამახსოვრდეს 8-9 წლის ბავშვს, წარმოადგენდა პატარა, მეტად ლამაზ, მშვიდ და წყნარ, მაგრამ კეთილმოუწყობელ სოფელს, სულ რაღაც 20-25 კომლისგან შემდგარს, სადაც დასასვენებლად და სამკურნალოდ ჩამოდიოდა თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან მოწინავე ქართველი ინტელიგენცია.

აქ ისვენებდა ერთ წელიწადს, ზამთარ-ზაფხულს, ჭლექით დაავადებული არჩილ ჯორჯაძე. მის შემდეგ 1913-1914 წლებში, გადასახლებიდან დაბრუნებული, ისიც ჭლექით დაავადებული ირროდიონ ევდოშვილი.

ამ დროს წაღვერში იყო შემდეგი დაწესებულებები:

1.სატყეო, რომლის გამგეც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო მიხეილ მურვანიშვილი;

---

[1] ერთკლასიანი სასწავლებელი, რომელიც 1870 წ. ბორჯომში გაიხსნა,1895 წ. სახელოსნო სასწავლებლად გადაკეთდა. ვ. აბულაძე. ბორჯომის ხეობის წარსული და აწმყო. თბ., 1983. 149 გვ.

რკინიგზის სადგური დაბა წაღვერში. 1900 წ.

მარიამ აბაშიძე შვილთან, ლეილა აბაშიძესთან და ბიძაშვილებთან ერთად.
წაღვერი. 1928 წ.

2. რკინიგზის სადგური[2] - მისი უფროსი მიხეილ ხეჩინაშვილი, რომლის თაოსნობით სადგურზე დადგმული იყო ავზი მჟავე წყლისათვის. მჟავე წყალს ჩამოატანინებდა ხოლმე მეისრეს მატარებლის დროისათვის და ხალხი მას სვამდა უსასყიდლოდ. ეს კარგი აგიტაცია იყო კურორტ წაღვერისათვის ხალხის მოსაზიდად.

მაშინ წაღვერში საფოსტო განყოფილება არ არსებობდა და არც წერილების დამტარებლები იყვნენ. დილის საფოსტო მატარებელის შემდეგ გამოიტანდა მთელ დასტა ჟურნალ-გაზეთებს და თვითონ გვარების წაკითხვით გადასცემდა ადრესატს. ამ დროს წაღვერში ქუჩებს (და არც იმდენი ქუჩები იყო) არც სახელწოდება ჰქონდა და სახლებიც დანომრილი არ იყო. ადრესატები დიდად კმაყოფილნი იყვნენ, რომ ჟურნალ-გაზეთები არ ეკარგებოდათ და არც დაგვიანებით ღებულობდნენ. ასეთი წერილების დარიგება შემდგომში ერთგვარ გასართობადაც გადაექცა დამსვენებლებს.

მატარებლის მოსვლისას, სადგურზე სეირნობა ეწყობოდა პრესის მოლოდინში, მაშინდელი რჩეული ქართული ინტელიგენციის, წაღვერის დამსვენებლების მონაწილეობით.

3. კერძო აფთიაქი ვინმე შლეიფერისა;

4. კერძო სავაჭრო დუქანი ბორჯომელი წამალო ჯანიბაღჩევის და

5. პატარა თონე ქართული პურის - ესეც კერძო, რაჭველი არსენასი, გვარი არ მახსოვს.

ამაზე ადრე აქ ყოფილან სატყეოს გამგე დ. ყარსელიშვილი, მღვდელი ხახიშვილი, აფთიაქარი ხოტივარი და სადგურის უფროსიც, მაგრამ მე არც რკინიგზის გაყვანა მახსოვს და არც ეს წინა ხალხი. თუმცა გადმოცემით მამაჩემს, აზნაურ ვარდენ კიკნაძეს და მის ბიძას, ლიკანის ერთ-ერთ მამასახლისს, ზაზა კიკნაძეს მიუღიათ მონაწილეობა ამ საქმეში. რკინიგზა 1898-1902 წლებში აუგია რუსეთის დიდ თავადს, რომანოვს; ბორჯომის ხეობაც და ნაკრძალიც მას ეკუთვნოდა. მისივე დაკვეთით წაღვერსა და ცემს შორის ღრმა ხევზე თაღოვანი ხიდი შეუსრულებია ფრანგ ინჟინერს ეიფელს (ცნობილია მისი პარიზის კოშკი). დღეს მგონი არც არავინ იცის ამის შესახებ; რამდენ მნახველს მოიზიდავდა ალბათ...[3]

მამაჩემი, ვარდენ კიკნაძე კი აქ ხარაგოულიდან ამოსულა. ჯერ ბორჯომში მუშაობდა ზაზა კიკნაძესთან, შემდეგ კი წაღვერში დასახლებულა მე-20 საუკუნის დასაწყისში. სამწუხაროდ, ამ წლების დადგენა არ შემიძლია, თუმცა ოჯახში ინახება იმ პერიოდის ბორჯომის სამეფო მამულის მმართველის, პავლე ვინოგრადოვ–ნიკიტინის ხელმოწერილი სამოსახლო მიწის ნაკვეთის დამაგრების 1910 წლის დოკუმენტი. წაღვერში მას ჰქონდა ხე-ტყის საწყობი, ამზადებდა შპალებს რკინიგზისათვის და ხე-ტყის საწვავ მასალას, რომლებსაც აბარებდა დიდი მთავრის ბორჯომის მოურავს. ხე-ტყე მზადდებოდა 20-30 კილომეტრის დაშორებით წაღვერიდან და ჩამოჰქონდა ხან გუჯარეთის წყლით, ხან ხის ღარებით.

როდესაც მამაჩემს ოჯახში ნათლიად მიიწვევდნენ (და არ ყოფილა არც ერთი გვარის კომლი, სადაც ბავშვი არ მოენათლოს ან მამას ან დედას (გოგოლაძეები, გელაშვილები, ხაჩიძეები, ნოზაძეები, გვარამაძეები და სხვ.), დიასახლის ქალს უფლება არ ჰქონდა მათთან ერთად სუფრაზე მჯდარიყო, არამედ ფეხზე ემსახურებოდა, პირსახეც აფარებული ჰქონდათ თავსაფრით, აღმოსავლურად ისე, რომ მხოლოდ თვალები უჩანდათ. მხოლოდ შემდგომში,

---

[2] 1900 წლის გაზეთი ცნობის ფურცელი წერდა: “ 3 ოქტომბერს ბორჯომის სადგურიდან წაღვერამდე გაგზავნილ იქნა პირველი სანიმუშო მატარებელი...“

[3] ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის მეცენატის – რომანოვის დაკვეთით 1902 წელს საფრანგეთიდან ცნობილი ინჟინრის – ეიფელის მიერ შექმნილი ლითონის კონსტრუქციის ხიდი საქართველოში ჩამოიტანეს. უმშვენიერესი არქიტექტურული ქმნილება დღესაც იმედიანად დგას მდინარე ცემის წყალზე და სოფლებს – წაღვერსა და ცემს ერთმანეთთან აკავშირებს. *ინწკირველი ლადო. წყალდიდობამ სარკინიზო ხიდებს ვერაფერი დააკლო//საქართველოს რკინიგზა. 2005, №4(13).*

როდესაც მამაჩემი დაცოლშვილდა და დადაჩემმა მეზობლობა გააჩაღა ამ გლეხის ქალებთან, მათაც მიბაძეს დედაჩემს თურმე და ალბათ დედაჩემის აგიტაციით თანდათანობით ჩამოიხსნეს თავსაფარი პირსახიდან.

საუკუნის დასაწყისის წაღვერის ძირითად მცხოვრებლებს ქართველი გლეხობა წარმოადგენდა, რომლის უმეტესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. კარგად მახსოვს მათი გვარებიც და მათ მიერ დასახლებული ადგილებიც, ვინაიდან ჯერ სკოლის ასაკამდე და შემდგომშიც არ გამიწყვეტია კავშირი ჩემი დროის და ასაკის გოგო-ბიჭებთან, მით უმეტეს, ყოველ კომლთან მაკავშირებდა ნათელ-მირონობა. ხშირად დავდიოდი მათთან და იმათ ხომ ძალიან უყვარდათ ჩემთან მოსვლა, რადგან იცოდნენ, ბევრ საინტერესო ამბავს მოვუთხრობდი მათ თბილისზე, ჩემს სწავლა-წიგნებზე და თეატრზე.

მოსახლენი უმთავრესად მდინარე გუჯარეთის წყლის მარჯვენა მხარეს სახლობდნენ – როგორც მის დაბლობზე, ისე მისი შენაკადის ღორღების წყლის ორ, ერთი მეორის მოპირდაპირე შეფენვაზე, რომელთაც შუაზე ჩამოუდიოდა მდინარე.

ღორღების წყლის მარცხნივ, კლდის ძირში სახლობდნენ ბარათაშვილები, გელაშვილები, ხაჩიძეები და ნოზაძეები, ორი-სამი, ან ოთხი კომლისგან შემდგარი თითო საგვარეულო.

ღორღების წყლის მარჯვენა მხარეს, ცხოვრობდა გოგოლაძეების რამდენიმე კომლი, გვარამაძეების ორი კომლი, პავლე და კირილე მარტინენკოების ორი კომლი და შემდეგ გზატკეცილის გაყოლებით ხაჩიძეების ორი კომლი და რამდენიმე კომლი გელაშვილებისა, რომელთაც ზედმეტ სახელად კაჭუნაშვილებს უწოდებდნენ; სადგურის გადაღმა გუჯარეთის წყლის მარცხენა მხარეს, დაბლობზე სახლობდნენ დრობიშევის ერთი კომლი და ბეშკენაძეები.

მაშინ გლეხობა ძალიან ღარიბად ცხოვრობდა. მათი საშემოსავლო წყარო ხე-ტყის ჩამოზიდვა თუ იყო ტყიდან, მორების სახით საზამთროდ, რომელიც ბარდებოდა სატყეოს. სახლებიც ერთ-ორ ოთახიანი ხის შენობა ჰქონდათ, ისიც ყველას არა. უმთავრესად ბოსლებში ცხოვრობდნენ.

წაღვერში ჩემს მახსოვრობაში ოთხი-ხუთი შენობა თუ იყო კარგი, ისიც სახელმწიფო დაწესებულების და მათი მოსამსახურეებისათვის. სატყეოს მთავარი შენობა, მის გვერდით ერთსართულიანი აგურის შენობა სატყეოს მოსამსახურე პერსონალისათვის – დღეს პოლიკნილიკაა შიგ. სადგურთან ქვიტკირის თეთრი შენობა (რომელსაც ბავშვები თეთრ სახლს უწოდებდნენ) სადგურის უფროსისა და სადგურის დანარჩენი მოსამსახურეებისათვის. ერთსართულიანი ხის, მოგრძო შენობა მღვდელი გაბიჩვაძისათვის, რომელსაც წაღვერის, მზეთამზის, კიმოთის უბნის, ცემის და სადგერის მრევლი ებარა. წაღვერს მეტად პატარა ხის ეკლესია ჰქონდა, სადაც მაღალ კაცს გამართვაც გაუჭირდებოდა იმ დროს, როდესაც ცემში, სადგერში, მზეთამზეში ქვის ნაგებობა იყო, ახალი დროისა და ტიმოთის უბნის ღვთისმშობლის ტაძარი – თქვენ მოგეხსენებათ, ბუმბერაზი ძეგლი მე–12-მე–13 საუკუნის ნაშენი.

ქვიტკირის იყო შენობა - დუქანი ჯანიბაღჩევის, ორსართულიანი ხის შენობა - აფთიაქი (დღეს შიგ საბავშვო ბაღი) და მამაჩემის ერთსართულიანი ხუთი ოთახისაგან შემდგარი ხის შენობა. ამას წარმოადგენდა წაღვერი 1910-1912 წლებში.

მიხეილ მურვანიშვილი, ვარდენ კიკნაძე, მიხეილ ხეჩინაშვილი, მღვდელი გაფიჩვაძე და, შემდგომში, როდესაც სკოლა დაარსდა, პირველი სკოლის პირველი გამგე - მასწავლებელი ქსენია კასრაძე - აი, ის პატარა ინტელიგენცია, რომელმაც დიდად იზრუნა წაღვერის კეთილმოწყობაზე და გლეხობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებასა და განათლებაზე.

საჭირო იყო წაღვერის კეთილმოწყობა. პირველი წამოწყება იყო ერთკლასიანი სკოლის დაარსება. მამაჩემის გადმოცემით, პირველ ხანებში გლეხობას უარი განუცხადებია და წინააღმდეგობაც გაუწევია. ერთ-ერთ გლეხს, რომელიც დიდ გლახოდ იწოდებოდა გელაშვილი (იყო აგრეთვე პატარა გლახო გელაშვილი), ასე მიუმართავს: „შე ჩამოთრეულო იმერელო, შენ გინდა, რომ ჩვენმა შვილებმა ხარ-კამეჩი და ცხვარი აღარ მოგვიმწყემსოს და არც ხე-ტყე ჩამოგვიზიდოსო“? მაგრამ, რა თქმა უნდა, ამას ვინ მიაქცევდა ყურადღებას. ყველაზე დიდი პრობლემა ის იყო, რომ საქართველოს გენერალ-გუბერნატორი. ვორონცოვ–დაშკოვი ქართული სკოლის დაარსების უფლებას არ იძლეოდა. დიდი დრო დასჭირდა და ბევრი მიმოსვლა ვარდენ კიკნაძეს წაღვერსა და თბილისს შორის, რომ როგორმე ეს ნებართვა გამოეთხოვა.

ბოლოს, გაიცა ნებართვაც: მ. მურვანიშვილმა გამოუყო ხე-ტყე, გამოიყვანა კომლზე კაცი ქვის მოსატეხ-მოსატანად, წაღვერის პატარა ინტელიგენციამ ფულადი დახმარება გაიღო და ააშენა პატარა ორსართულიანი ქვიტკირის შენობა: ზემო სართულში ორი საკლასო ოთახი და ქვედა სართული საწყობი.

1912 წლის სექტემბრისათვის სკოლა უკვე დამთავრებული იყო. პირველ ხანებში, რა თქმა უნდა, ცოტა იყო მოწაფეები. სახლებში დადიოდნენ გამოყოფილი კაცები, რომ ბავშვები მოეყვანათ სკოლაში. ერთი ასეთი კურიოზიც მომხდარა, რომ როდესაც შალვა კიკნაძე კარდაკარ დადიოდა ბავშვების შესაგროვებლად, კეტით გამოუდგა ერთ-ერთი გლეხი: „თავს გაგიტეხ! რა სკოლა, რის სკოლაო“. მაგრამ შემდგომში კი თვით ბავშვები აღარ ჩერდებოდნენ სახლში და დადიოდნენ სკოლაში.

მე რომ უკვე სათავადაზნაურო გიმნაზიის პირველი-მეორე კლასის მოწაფე ვიყავი (ე.ი. ეხლანდელი მეოთხე, მეხუთე კლასი), ჩემი ასაკის თანატოლები წაღვერში პირველ-მეორე განყოფილებაში ისხდნენ (დღესაც არიან ეს ადამიანები - პირველი სკოლის პირველი მოწაფეები: ივლიტე მანია და მელო გელაშვილი, ნინო ნოზაძე და სხვ.).

მეორე წამოწყება იყო წაღვერის კოოპერატიული ამხანაგობის დაარსება, დაახლოებით 1913 წ., რომლის ინიციატორი და გამგეობის თავმჯდომარეც მ. მურვანიშვილი იყო. ამხანაგობის გამგეობის ერთ-ერთი წევრთაგანი მამაჩემი ვ. კიკნაძეც იყო. გამგეობის წევრებად იყვნენ აგრეთვე გლეხობიდანაც. რამდენი წევრისაგან შედგებოდა გამგეობა ან კოოპერატიული ამხანაგობა, რამდენ წევრს აერთიანებდა, არ მახსოვს. ვიცი მხოლოდ, რომ დედაჩემიც იყო ამხანაგობის ერთ-ერთი წევრი და შეტანილი ჰქონდა ფულადი თანხა.

კოოპერატივის გამგედ იყო ვანო მურვანიშვილი, გამყიდველად შალვა კიკნაძე; ჰყავდათ მოლარე ქალიც.

ეს კოოპერატივი ზაფხულობით დიდ მომსახურებას უწევდა ჩამოსულებს და ამარაგებდა სანოვაგით მოაგარაკეებს.

ვიდრე წაღვერის კეთილმოწყობაზე გადავიდოდე, მინდა ვთქვა ერთი-ორი სიტყვა პედაგოგ არჯევანიძეზე, რომელმაც ღორღების წყლის მარჯვენა მხარეს ფიჭვნარის ტყეში ააშენა და დააარსა საზაფხულო დასასვენებელი სკოლა პატარა ბავშვთათვის. არჯევანიძე იყო ხარაგოულის სკოლის პედაგოგი, რომელიც იმ წლებში მოდიოდა ზაფხულობით დასასვენებლად აქ თავისი ცოლ-შვილით. მას ძალიან მოსწონებია წაღვერი და განუზრახავს თავისი საკუთარი თანხებით აეგო სკოლა-სანატორიუმი ფიჭვნარის ტყეში, ღორღების წყლის მარჯვენა მხარეს. გადმოცემის მიხედვით, მეტად საინტერესო ისტორია აქვს ამ სანატორიუმის აგებას: მას ხარაგოულში დაუნგრევია თავისი საკუთარი სახლი და ამ ტყეში ამოუტანია. ეს რამდენად სიმართლეს შეიცავს, არ ვიცი. ვიცი მხოლოდ დაკარგად მახსოვს, ტყეში აშენდა სანატორიუმი ბავშვთათვის, რომლებიც ჩამოჰყავდა მას თვითონ და რომლებსაც ფორმად ჰქონდათ მწვანე ფერის ტანსაცმელი, თეთრი საზაფხულო ქუდებით. ამ

ტიმოთესუბნის ეკლესია
ს. პროდუკინ-გორსკის ფოტო
(გადაღებულია დაახლ. 1905-1915წლებში)



მარცხნიდან: მ. მურვანიშვილი, ვ. კიკნაძე, გელაშვილი

დროიდან ამ ტყეს ეწოდა არჯევანიძის ტყე, რომელსაც დღემდე შერჩა ეს სახელწოდება. ეს დაახლოებით კოოპერატივის დაარსებამდე იყო.

ამ წლებში აშენდა საკმაოდ დიდი და მეტად ლამაზი ლიზა მღებრიშვილის სახლი, სადაც ისვენებდა ზაფხულობით ზ. ფალიაშვილი, პოეტები: ი. გრიშაშვილი, მარიჯანი და სხვები.

მჟავე წყლის ბუნებრივ პარკში დაიდგა სკამები, გაკეთდა შადრევანი, დაირგა ყვავილები. ამ პარკის გვერდით, ხევში ვარდენ კიკნაძემ ააშენა საზაფხულო სასტუმრო „სინათლე“, მოიყვანა თიხის მილებით წყაროს წყალი, მჟავე წყლის მხრიდან, რომელიც გროვდებოდა საგანგებოდ გაკეთებულ აუზში და არ შევცდები ვგონებ, რომ ვთქვა, დღესაც ამ წყლით იკვებება წაღვერის ნახევარი მოსახლეობა. სასტუმრო ემსახურებოდა დასასვენებლად ჩამოსულ ინტელიგენციას, მწერალ-პოეტებს და აგრეთვე ერთი-ორი დღით საგასტროლოდ ჩამოსულ მსახიობებსა და მომღერლებს.

აქ ისვენებდნენ მწერალი ქალები სოფო მგელაძე და კატო მიქელაძე, ახალგაზრდა მწერლები - მაშინ „ცისფერყანწელები“: პაოლო იაშვილი, ლელი ჯაფარიძე, კოლაუ ნადირაძე, დავით კოპალი, ვალერიან გაფრინდაშვილი, შალვა ხუსკივაძე, რომლებიც ატარებდნენ აბრეშუმის ცისფერ ბლუზას, გვერდზე გაჭრილი მაღალი საყელოთი, თეთრი აბრეშუმის დაგრეხილი სარტყლით.

სასტუმროს გვერდით, მ. მურვანიშვილის პირადი ინიციატივით, აშენდა საზაფხულო თეატრი, რომელიც ბევრი კარგის მომსწრე იყო. აქ იდგმებოდა წარმოდგენები დიდი კორიფეების მონაწილეობით, რომლებიც საქართველოს პატარა ქალაქებსაც კი შეშურდებოდა. აქ იდგმებოდა ხშირად „ხანუმა“ ელისაბედ ჩერქეზიშვილის და ნიკო გოცირიძის მონაწილეობით. იდგმებოდა „და-ძმა“, „ციმბირელი“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ჯერ დაიხოცნენ და მერე იქორწინეს“, „ტიმოთეს ლეღვი“, „დედისერთა“ - ლიზა ჩერქეზიშვილისა და იოსებ გრიშაშვილის მონაწილეობით, „არშინ-მალ ალანიდან“ ვასო და ტასო აბაშიძეების მონაწილეობით და ბევრი სხვა ვოდევილი და კომედიები. ამ თეატრს უნახავს უნაზესი ნატო ჩხეიძის, მიშა ქარელის, ზარდალიშვილის, შალიკაშვილის, ჟივიძის თამაში.

ამ თეატრში დაიდგა შიუკაშვილის „სულელი“ ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის მონაწილეობით, რომელთაც თავიანთი თამაშით აღტაცებაში მოჰყავდათ ხალხი.

ამ თეატრში მოვისმინე ბალმონტის მიერ წაკითხული ლექსები, ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“, მის მიერ ნათარგმნი და მათ შორის ლექსი „Грузинке”.

აქ იმართებოდა დიდი საკონცერტო საღამოები ვანო სარაჯიშვილის, სანდრო ინაშვილის, თამარ წერეთლის და ანა არლოვას, და უფრო გვიან დავით ანდღულაძის მონაწილეობით.

ხშირად იმართებოდა იოსებ გრიშაშვილის პოეზიის საღამო, საუკეთესო მომღერლებისა და მსახიობების მონაწილეობით.

ჩამოდიოდა ლადო კავსაძის, კირილე პაჭკორიას და სხვათა ქართული სიმღერისა და ცეკვის გუნდები. რა თქმა უნდა, მაყურებელთა შორის ბევრი იყო უფასო მაყურებელიც – წაღვერის ადგილობრივი მცხოვრებლები, მოზარდი ახალგაზრდობა.

ამრიგად, წაღვერი გადაიქცა მიმზიდველ კურორტად. გლეხობამ იწყო კოხტა სამ-ოთხ ოთახიანი და ზოგმა ორსართულიანი სახლების აშენება, რომ ჩამოსული მოაგარაკენი დაეკმაყოფილებინა და ამით თავისი საშემოსავლო წყარო გაედიდებინა.

აქ ისვენებდნენ ექიმები – ივანე გომართელი და ვახტანგ მუსხელიშვილი, არაერთი ცნობილი ოჯახის წარმომადგენელნი: მდივნები და დათეშიძეები, სვანიშვილები და ყიფიანები, ლეჟავები და აბაშიძეები; შემდგომში ირაკლი აბაშიძის ბიძაშვილი ნიკო აბაშიძე ჩემი მეუღლე გახდა და სხვ.

შემდგომი წაღვერის განვითარება მდგომარეობდა კეჩხობის დაგეგმარებაში. მ. მურვანიშვილმა კეჩხობში ნაკვეთები მოაგარაკეებს დაურიგა.

აგარაკი ააშენა ჭიათურის შავი ქვის მრეწველმა აკაკი სვანიშვილმა, ცნობილმა წყლების ოსტატმა მიტროფანე ლაღიძემ, ელისაბედ ჩერქეზიშვილმა. მწერლებიდან – სიმონ ქვარიანმა და დარია ახვლედიანმა, ცნობილმა გამომცემელმა და ბუკინისტმა სოსიკო მერკვილაძემ (დედის ნათესავმა), რომელიც ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი იყო და რომელთაც ჩამოჰქონდა თავის საკუთარ სტამბა "ცოდნაში" დაბეჭდილი პატარ-პატარა მოთხრობა-პოემები აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა და სხვა მწერლებისა, რომელთაც უფულოდ და სრულიად უსასყიდლოდ ურიგებდა გლეხობას. ალბათ, ბევრ ოჯახში დღესაცაა შემორჩენილი.

წაღვერი თანდათან მშვენდებოდა. გაიჭრა გზა პარკიდან მჟავე წყლის ხევის მარჯვენა მხარეს, რომელიც ჩამოდიოდა მჟავე წყალზე. იქ უმაღლეს წერტილზე გაკეთებული იყო პატარა პლატო ხის იატაკით, გარშემო არყის ხის თეთრი ლამაზი მოაჯირით და სკამებით, საიდანაც იშლებოდა საუცხოო ხედი მთელ წაღვერზე, ცემზე და მზეთამზეზე, რომელსაც ეწოდებოდა „Площадка очарования" – ნამდვილად რომ საოცნებო პლატოს წარმოადგენდა. დღეს მხოლოდ სახელი არის შემორჩენილი იმ ადგილისა.

მჟავე წყალზე მომსახურებას უწევდნენ თეთრხალათიანი ქალები სუფთა ჭიქებით მჟავე წყლის დასალევად მოსულ ხალხს.

მ. მურვანიშვილის მიერ აღმოჩენილი იყო ახალი მჟავე წყალი წაღვერის ციხის ხევში. იქ იყო მიყვანილი ლამაზი გზა. ამ ხევზე გადადგმული ორი ხიდი, აქაც დეკორატიულად გაფორმებული არყის ხის თეთრი მოაჯირებით. ამ კუთხეს ამშვენებდა აგრეთვე პატარა ლამაზი წყალვარდნილი ჩანჩქერი.

იმხანად წაღვერს განათება არ ჰქონდა. მამამ, ვ. კიკნაძემ ბაქოდან ჩამოიტანა გაზის ფარანი, რომელიც პარკში ყველაზე მაღალ ნაძვზე იყო დადგმული და რომელიც მთელ წაღვერს ანათებდა. მახსოვს, ყოველი მისი განათება საღამოს როგორ დიდ ჟივილ-ხივილს იწვევდა წაღვერის ადგილობრივი მოსახლეობის დიდ-პატარაში.

ასეთივე გაზის ფარანი დადგა, აგრეთვე, სადგურის უფროსმა სადგურზე, რაც უადვილებდა მგზავრებს საღამოს მატარებლით მისვლა-მოსვლას.

ამავე ხანებში აშენდა ელექტროსადგური მდინარე გუჯარულაზე ციხის ძირში, რომლის დანადგარები ჩამოიტანა ვარდენ კიკნაძემ ბაქოდან და მისი თაოსნობით იყო დამონტაჟებული იქ, სადაც ახლა აბანო არის. მამამ მანამდე ბორჯომის პარკში ელექტროსადგურის მშენებლობაშიც მიიღო მონაწილეობა და შემდგომ მსგავსი დანადგარი წაღვერისთვისაც შეიძინა. რამდენიმე წლის შემდეგ, უკვე გასაბჭოების შემდეგ, რა ბედი ეწია ამ ელექტროსადგურს, არ ვიცი. იგი სადღაც წაღებული იქნა იქიდან. მეფის რუსეთის დროს სულ რამდენიმე მცირე ელექტროსადგური იქნა აშენებული, მათ შორის – ერთი წაღვერში.

არც ბავშვები იყვნენ დავიწყებულნი. მათთვის მოწყობილი იყო სადგური მოედანთან, სადაც ახლა ბავშვთა სანატორიუმი არის, სხვადასხვა გასართობი, როგორიც არის საქანელა, циганские шаги (ქართულად როგორ ეწოდება, არ ვიცი), მოედანი კეგლისათვის, მოედანი კროკეტისათვის, ტენისისათვის. უფრო გვიან კი, კეჩხობის მისასვლელთან მოეწყო საფეხბურთო მოედანი, სადაც შეჯიბრება ხდებოდა მოხალისე წაღვერის ფეხბურთელებსა და ბორჯომის, ბაკურიანისა და სურამის მოხალისე ფეხბურთელებს შორის.

წაღვერის ხედი (მეოცე საუკუნის დასაწყისი)

ქალთა მე–7 გიმნაზიის მოწაფენი.
დგანან მარცხნიდან: მარო ბაქრაძე, ნინო ციმაკურიძე, მარო კიკნაძე;
სხედან: კატო ბეზარაშვილი, ნინო აბდუშელიშვილი, მარო ჩაგარიძე. 1915 წ.

ამ მოედანზე უთამაშიათ ფეხბურთის პიონერებს, მათ შორის, ანდრო ჟორდანიას და მის გუნდს, რომლებსაც მიტროფანე ლაღიძემ თავისი აგარაკის პატარა ფლიგელი გამოუყო დასასვენებლად უსასყიდლოდ და ყოველნაირ დახმარებასაც უწევდა მათ.

ბავშვების მოედანზე ჩამოყალიბებული იყო აგრეთვე ფიზკულტურის მოედანი, რომელსაც მოხალისედ ხელმძღვანელობდა ექიმი, ქირურგი მიხა ნემსაძე. ხშირად, კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძის დახმარებით იმართებოდა ბავშვთათვის, თვით ბავშვების მონაწილეობით, საკონცერტო დილები, საბავშვო ოპერეტები (მაგ., როგორც „Птичий рай“ და სხვ.), რომლის ვოკალურ მხარეს კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე ხელმძღვანელობდა.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, წლების მანძილზე წაღვერის პარკში იწერებოდა ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“. დილით ადრე, როდესაც ჯერ კიდევ წაღვერის დამსვენებლებს ეძინათ ტკბილი ძილით და პარკში არა კაცი არ იყო მისი ხელისშემშლელი, დოლიძე თავისი მანდოლინით, რვეულით და ფანქრით ხელში იჯდა სკამზე, უკრავდა და წერდა. ხან წამოხტებოდა, ჩქარი ნაბიჯით დაიწყებდა წინ და უკან სიარულს, თავს გადაიქნევდა, რომ ჩამოვარდნილი თმა უკან გადაეყარა და შემდეგ ისევ დაჯდებოდა, უკრავდა და წერდა. მე ამ სურათის ხშირი მოწმე ვიყავი, რადგან კარგად ვიცნობდი მას პირადად და ჩვენი სახლის აივანიც პირდაპირ უყურებდა პარკს. ვ. დოლიძე მამაჩემთანაც დიდად დამეგობრებული იყო, ვინაიდან „ძია ვარდენი“ ყოველთვის და ყველაფერში ყურადღებით იყო მის მიმართ. ისიც არა ერთხელ მოგვასმენინებდა მანდოლინაზე მის სახუმარო ადგილებს „ქეთო და კოტედან“.

ასეთი იყო წაღვერი 1915, 1916 და 1917 წლების მანძილზე. ამ წლების შემდეგ 1918-20 წლებში აქ სატყეოს გამგედ დანიშნული იყო გიორგი სალარიძე – ესეც მეტად ძვირფასი და სათნო ადამიანი. მახსოვს, როდესაც მე გიმნაზია დავამთავრე 1921 წელს და იმავე წელს მივდიოდი უნივერსიტეტში აგრონომიულ ფაკულტეტზე ჩასაბარებლად, მითხრა: „მამაშვილურად გირჩევ, მართალია, მიდიხარ აგრონომად, მაგრამ ექიმად დაბრუნებულიყავი; უფრო გამოადგები წაღვერსო." ეს სურვილი იყო მამაჩემისაც, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ შევუსრულე მას. თუმცა, შემდგომ მიკრობიოლოგიით დავინტერესდი და ვმუშაობდი წლების მანძილზე ბაქტერიოფაგების ინსტიტუტში, ახლახან გარდაცვლილ ჩემს მეუღლესთან – ინსტიტუტის დირექტორის მოადგილესთან, საქართველოს დამსახურებულ ექიმთან, პროფესორ ნიკო აბაშიძესთან. შემდეგ სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის კათედრაზე პროფ. ლადო ანთაძესთან სასწავლო ლაბორატორიის უფროსად.

მომდევნო წლებში აქ ისვენებდა და იწვრთნებოდა დრამატული სტუდია პროფესორ აკაკი ფაღავას ხელმძღვანელობით. მისი სტუდიელები – ვასო გოძიაშვილი, მაღლაკელიძე, მიქელაძე, კანდელაკი, მურღულია – ხშირად დგამდნენ პატარ-პატარა პიესებს, კომედიებს, პაროდიებს.

ამავე წლებში, მაშინ ჯერ კიდევ ახლად ფეხადგმული მწერლობაში, ლევან ასათიანი ხშირად კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა მწერლების შემოქმედებაზე. განსაკუთრებით უყვარდა აკაკი წერეთელზე ლექციის წაკითხვა.

უფრო გვიან აგარაკები ააშენა მარიჯანმა, კიმოთეს უბანში – მომღერალმა სანდრო ინაშვილმა, პროფესორმა აკაკი ფაღავამ, კოტე ვირსალაძემ, პროფესორმა ზურაბაშვილმა და პროფესორმა ს. ყაუხჩიშვილმა.

იმ დროს, 1926 წლიდან, მე ვიყავი პირველი ქალი წაღვერიდან, რომელმაც მიიღო უმაღლესი განათლება და კაცებიდან ჩემი მომდევნო იყო ექიმი შალვა ხაჩიძე, რომელიც დღეს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია.

გასაბჭოებიდან აქ აშენდა ერთი საშუალო სრული სკოლა, დაარსდა საბავშვო ბაღი, საავადმყოფო და პოლიკლინიკა. აფთიაქისთვის აიგო ორსართულიანი ლამაზი აგურის შენობა, აშენდა კლუბი, კინოთეატრი და სხვ.

დღეს წაღვერი ითვლის 500-600 კომლს, დამშვენებულია მრავალი ორსართულიანი აგურის შენობით, ჰყავს უმაღლესი განათლებით ათეულობით ექიმი, აგრონომი, მეტყევე, პედაგოგი, ინჟინერ-ტექნიკოსი, გეოლოგი და არაერთი სხვა სპეციალისტი. გაიზარდნენ ახალგაზრდები და ბევრს უკვე ვეღარ ვცნობ, თუმცა ხშირად მაჩერებენ ხოლმე და თავაზიანად გამომეცნაურებიან. რა თქმა უნდა, კეთილმა და თავმდაბლურმა განწყობილებამ, რომელიც იყო დამყარებული ჩამოსულ ინტელიგენციას, სწავლულ ხალხსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის, დიდად შეუწყო ხელი და მისცა გაქანება იმას, რომ ადგილობრივი ახალგაზრდობა დასწაფებოდა სწავლა-განათლებას.

1966წ.

მართლაც, „იყო ერთი პოეტი“

მცირე მოგონება მეტად დიდ კაცზე.

წაღვერი. იდგა 1917 წლის აგვისტო. მაშინ ქართული გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფე ვიყავი, საზაფხულო არდადეგებზე მშობლებთან ჩამოსული.

ტკბილად გატარებული ზაფხულის დღეები იწურებოდა. როგორც ყოველთვის, იმ დღესაც წაღვერის პარკში მივიჩქაროდი, სადაც ამხანაგი გოგონები მოუთმენლად მელოდნენ; შეიძლება, მე კი არ მელოდნენ ისე, როგორც მზესუმზირის თავს, რომელსაც მე მათ დავპირდი.

სწორედ მზესუმზირის დიდი თავით, რომელიც ჩვენს ბოსტანში მოვწყვიტე, სიხარულით მიმქონდა მათთვის. გავცდი თუ არა ხიდს, მოულოდნელად ვიღაც მეტად ახოვანი და ლამაზი კაცი წამომადგა თავს, შემაჩერა და მითხრა: „ქალიშვილო, ქალიშვილო, როგორ არ გრცხვენიათ, მზესუმზირას ჭამთ და თანაც ქუჩაში იფურთხებით!“

თავი ავწიე, შევხედე; ისე დავიბენი, უცებ ვერ ვიცანი; მეგონა, პირველად ვნახე, მაგრამ მაშინვე მივაძახე, თქვენ კი არ გრცხვენიათ, მამაკაცი ქალსავით რომ შეპუდრულხართ–მეთქი.

„ოო!“ – გადაიხარხარა და მიპასუხა: „ეს იმიტომ, რომ ბუნებრივად შავი ვარ და ხელოვნურად მინდა თეთრი ვიყოო.“ და მე კი მოწყვეტილი ვარსკვლავივით გავექანე პარკისკენ, სირბილით ავირბინე პარკისკენ მიმავალი აღმართი, მივვარდი ამხანაგებს, მივუგდე მზესუმზირის თავი და აღელვებული, ტირილს რომ არაფერი მაკლდა ასე, რომ შემარცხვინა, ვამბობდი, ჩემს სიცოცხლეში არ შევჭამ, ვფიცავ, აღარ შევჭამ–მეთქი. მართლაც, მას შემდეგ მზესუმზირა არამც თუ მე არ მიჭამია, ჩემი შვილებიც მივაჩვიე, რომ არ ეჭამათ.

თბილისში წამოსვლამდე პარკში აღარ გამოვსულვარ, ისე მერიდებოდა იმ კაცთან შეხვედრა. ძალიან მიკვირდა, მე ასეთმა მორცხვმა და მოკრძალებულმა ბავშვმა, როგორ გავბედე და ვაკადრე ის, რაც ვუთხარი. ისე წამოვედი თბილისში, რომ ის აღარ მინახავს. „როგორ ვერ იცანი“, მითხრეს ამხანაგმა გოგონებმა, – „ეგ ხომ ჩვენი სასიქადულო პოეტი პაოლო იაშვილი არისო“.

და შეიძლება განა, რომ არ მცოდნოდა, და როგორ არ ვიცოდი, წინა წლებში ხომ პოეტი პაოლო და მისი ამხანაგი სიმბოლისტები წაღვერის საზაფხულო თეატრში ცისფერი აბრეშუმის ბლუზებით, გვერდზე შეკრული საყელოებით, წელზე თეთრი აბრეშუმის

დგანან მარცხნიდან: ლიზა ჩერქეზიშვილი, მარიამ აბაშიძე,
იოსებ გრიშაშვილი, მამა და შვილი ალექსიძეები (ფოტოზე წარწერის მიხედვით),
მარიჯანი. წაღვერი. 1924 წ.

სტუმრად ვ. კიკნაძის ოჯახში:
პირველ რიგში – იროდიონ ევდოშვილი, მეორე რიგში – ვერა ცქიტიშვილი, მესამე რიგში – ვარდენ კიკნაძე

გრეხილი ქამრებით შემორტყმული გამოდიოდნენ თავიანთი ლექსებით. და როგორ არ ვიცოდი, მე ხომ ჟურნალებს – „საფირონს“, „ლეილას“, „აისს“ სულ ვკითხულობდი, სადაც მისი ლექსები იყო.

1918 წელი. ისევ წაღვერი. ერთ საღამოს, რაღაცაზე განაწყენებული ჩემი ოთახის ფანჯარასთან, რომელიც მდინარეზე ხიდს გადაჰყურებდა, ვიჯექი და მწარედ ვტიროდი.

უცებ შემოვიდა ჩემი ბიძაშვილი შალვა კიკნაძე და მეუბნება:“რა დაგემართა, გოგო, რა გატირებს? იცი, ახლა ხიდზე პოეტი პაოლო იაშვილი დგას, ძალზე შეწუხებულია და მთხოვა, გამიგე რა აწუხებს ბავშვს, რომ ასე ტირისო.“

რას წარმოვიდგენდი, რომ ის, რომელმაც მე ისე შემარცხვინა, და ახლა კი შეწუხებულია ჩემი ტირილით, იყო პოეტი პაოლო იაშვილი. ამ ამბის მეორე თუ მესამე დღეს ჩვენ ერთმანეთს შევხვდით წაღვერის სადგურზე. დამინახა თუ არა, მაშინვე მოვიდა ჩემთან და ისე მომექცა, თითქოს ჩვენ დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით.

მეტად ახოვანი, ლამაზი, ხუჭუჭთმიანი, ფართო მხარბეჭიანი ვაჟკაცი, რაღაც ბუმბერაზ ადამიანად მეჩვენა. მომცინარე, ფართო თვალებით, ხმა რიხიანი, მაგრამ ამავე დროს, ხმა მხიარული, თბილი, ტკბილი და მეტად მიმზიდველი. მე ისე დამორცხვილი ვიყავი, რომ ლაპარაკსაც ვერ ვბედავდი.

ერთ დღეს მეუბნება – როგორ არ მინდა ამ სიცხეში თბილისში წასვლა, მაგრამ წაღვერში ყველგან გამოკრულია განცხადება, რომ მოაგარაკეებზე პური არ გაიყიდებაო და სასტუმრომ, რომელშიაც მე და ჩემი ამხანაგები ვცხოვრობთ, პურზე უარი გვითხრაო.

ეს კი გამოწვეული იყო იმით, რომ მესხეთ–ჯავახეთის საზღვრები თათრებმა გადმოლახეს, დაარბიეს საზღვარზე მცხოვრები სომხები და ქართველები, რომლებიც ახალქალაქ–ბაკურიანის გზით წაღვერის პარკში და მთელ გზატკეცილზე იყვნენ დაბანაკებული. აუარება ხარ–კამეჩი და მათ ვინ ჩიოდა, აუარება ბავშვები და მოხუცები იხოცებოდა, რის გამოც მთელი პური, რასაც თონე და ფურნე აცხობდა, მათზე მიდიოდა.

ჩემს ოჯახში ყოველდღე რამდენიმე თონე პური ცხვებოდა და მამაჩემი ურიგებდა ბავშვებს, მოხუცებს. მახსოვს, მაშინ ჩვენ წამოვიყვანეთ მშობლებდაღუპული პატარა გოგონა, გავზარდეთ წაღვერშივე გავათხოვეთ და დღესაც ცოცხალია, მრავალშვილიანი და შვილიშვილიანი.

მე პოეტ პაოლო იაშვილისათვის არაფერი მითქვამს, მაშინვე წამოვედი სახლში, გავახვიე რამდენიმე პური და მივუტანე პოეტს. მასთან იყო რამდენიმე პოეტი. შევპირდი, რომ სანამ ეს მდგომარეობა იქნებოდა, მე მათ პურს არ მოვაკლებდი. პაოლო შეწუხდა, არ იცოდა, რითი და როგორ გადაეხადა მადლობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის და მისი მეგობრები არ დარჩენილან წაღვერში, მეორე დღესვე წავიდნენ თბილისში.

1966 წ.

P.S.

მარიამ აბაშიძის და მისი მშობლების ვარდენ კიკნაძის და ვერა ცქიტიშვილის სახლის ნაწილი დღესაც დგას დაბა წაღვერის ცენტრში, ხიდთან. სამწუხაროდ, დროთა და მავანთა სიავემ ვარდენ კიკნაძის კარ–მიდამოსაც დაასვა დაღი. გულისტკივილით მინდა ავღნიშნო, რომ სახლი, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით, გულისხმიერებით და სათნოებით დღეს ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც კი უცნობია.

მარიამი მშობლებთან –
ვარდენ ლუარსაბის ძე კიკნაძესა და
ვერა პლატონის ასულ ცქიტიშვილთან, ერთად

მარცხნიდან მეორე – ვარდენ კიკნაძე

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა;
მოგონებები წაღვერზე;
მართლაც, „იყო ერთი პოეტი“.

გარეკანზე: წაღვერის წყარო
სერგეი მიხეილის ძე პროდუკინ-გორსკის ფოტო (გადაღებულია
დაახლ. 1905-1915წწ.).